ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2018 წლის 3 დეკემბერი

დაბა ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №29 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/10/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.107.016151) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

№	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებები
1	ქალაქ ჩხოროწყუს ადმინისტრაციული ერთეული	1. ქალაქი ჩხოროწყუ 2. სოფელი გარახა
2	ლესიჭინეს ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი ლესიჭინე 2. სოფელი მე-2 ლესიჭინე 3. სოფელი ოჩხომური
3	ხაბუმის ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი ხაბუმე 2. სოფელი მოიდანახე 3. სოფელი ჯუმითი
4	ჭოღის ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი პირველი ჭოღა 2. სოფელი მე-2 ჭოღა 3. სოფელი ლექობალე
5	მუხურის ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი მუხური 2. სოფელი ლეგახარე 3. სოფელი ქოყო
6	კირცხის ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი კირცხი 2. სოფელი სარაქონი
7	ზუმის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ზუმი
8	ნაფიჩხოვოს ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი ნაფიჩხოვო 2. სოფელი ლედარსალე 3. სოფელი ხანწკი
9	ქვედაჩხოროწყუს ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი ქვედაჩხოროწყუ 2. სოფელი ლეჯიქე

10	ნაკიანის ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი ნაკიანი 2. სოფელი ლეახალე 3. სოფელი ლექარჩე
11	ლეწურწუმეს ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი ლეწურწუმე 2. სოფელი ნაგვაზაო 3. სოფელი ჯუმითი
12	თაიას ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი თაია
13	ახუთის ადმინისტრაციული ერთეული	1. სოფელი ახუთი 2. სოფელი მონგირი

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 6 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **კობა ჯიქია**
მოვალეობის შემსრულებელი